ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №12

20 აპრილი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს

ბიუროს წევრთა

სარეგისტრაციო სია

20 აპრილი, 2021 წელი.

ბიუროს რიგგარეშე სხდომა № 12

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე -
4. შალვა არზუმანიანი ✓ -
5. ბადრი შენგელია ✓ -
6. მერაბ უღრელიძე -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი
9. ემზარ შუბლაძე ✓ -
10. რაჟდენ ტორონჯაძე ✓ -
11. დავით ამაღლობელი -
12. ვაჟა სტურუა -
13. ლიზა კრავეიშვილი -
14. ილია მჟავია -
15. ავთანდილ თადუმაძე ✓ -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 12

ქ. სამტრედია. 20 აპრილი, 2021 წელი.

2021 წლის 20 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ბაია იმესაშვილი მ/შ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობით მომართვასთან დაკავშირებით, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნორა იანიკოვის, მოხსენებითი ბარათების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქართულმა ოცნებამ და ოპოზიციის ნაწილმა ორბელიანების საპრეზიდენტო სასახლეში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ კომპრომისულ წინადადებას ხელი მოაწერეს. მიმაჩნია, რომ ეს დღე ქვეყნისთვის არის საქმიანი საწყისი, რათა ჩვენ დავძლიოთ ის გამოწვევები, რომლებიც წინ გველოდება. ეს დღე საქართველოს დემოკრატიის გაძლიერებას უკავშირდება. იმედია ოპოზიციასთან ერთად თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი და შედეგის მომცემი. დღეს ყველა ვართ გამარჯვებული, უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხი და ჩვენი სახელმწიფო. ამავდროს გამოვთქვამ დიდ იმედს, რომ ეს დოკუმენტი იქნება საქართველოში დაპირისპირების დასასრული.

1. *2021 წლის 20 აპრილის N 78-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა იზრდება 1.50 ათასი ლარით, მათ შორის საოფისე ავეჯის (სკამები, მაგიდა და

კარადა) თანხა გაიზარდა 1.30 ათასი ლარით და ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 0.20 ათასი ლარით.

(მომართვის N 37/2246, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 107/**38** 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2. *2021 წლის 20 აპრილის N 81-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მიზნობრივ ტრანსფერში შრომის ანაზღაურების მუხლის თანხა მცირდება 0.24 ათ.ლარით, შესაბამისად 0.12 ათ.ლარი გადაიტანება მივლინების მუხლში, ხოლო 0.12 ათ.ლარი სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯში. ადგილობრივ ბიუჯეტში ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 3.50 ათ.ლარით, ოფისის მუხლში ელექტრო-ენერგიის ხარჯის თანხა მცირდება 1.50 ათ.ლარით, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლის თანხა 2.00 ათ.ლარით, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 2.30 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება თანხა სამედიცინო ხარჯის მუხლში 2.30 ათ.ლარით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ითხოვს, საკუთარი შემოსავლების მუხლში თანხის გაზრდას მოსალოდნელი კორონა ვირუსის კვლევების საორიენტაციოდ 50.00 ათ.ლარით. ასევე საკუთარი შემოსავლების გაზრდას ,,ც" ჰეპატიტის მიდევნების პროგრამის ფარგლებში 2.92 ათ.ლარით.

(მომართვის N 37/2250, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 110/**38** 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

3. *2021 წლის 20 აპრილის N 76-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ხარჯების გეგმა იზრდება 5.90 ათ.ლარით, რომელიც მიმართული იქნება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის დარბაზისთვის, ფარდების და საპროექტო საინჟინრო მომსახურეობის (პროექტის) შესაძენად. შესაბამისად იზრდება რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა 2.90 ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა (არასაცხოვრებელი შენობები) 3.00 ათ.ლარით.

(მომართვის N 37/2244, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 105/**38** 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

4. *2021 წლის 20 აპრილის N 77-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა" -ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მივლინება ქვეყნის შიგნით მუხლში თანხა მცირდება 1.00 ათ.ლარით, მივლინება ქვეყნის გარეთ 10.00 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლის თანხა 10.00 ათ.ლარით, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა (უკონტაქტო თერმომეტრი) 0.10 ათ.ლარით და საოფისე ავეჯის თანხა 0.90 ათ.ლარით.

(მომართვის N 37/2245, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 106/38 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

5. *2021 წლის 20 აპრილის N 79-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შემოსავლების გეგმა იზრდება 3.50 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურების მუხლში ოფისის ხარჯის თანხა კერძოდ შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში თანხა (ფანჯრების ჩასმა) 0.90 ათ.ლარით და არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების (რკინის კარებები) ხარჯის მუხლის თანხა 2.60 ათ.ლარით.

(მომართვის N 37/2247, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 108/38 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

6. *2021 წლის 20 აპრილის N 75-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით დარჩა 12.28 ათასი ლარი. შესაბამისად ითხოვს ნაშთის გადანაწილებას სხვადასხვა მუხლებში, კერძოდ საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯებიდან ოფისის მუხლში თანხა იზრდება 7.0 ათასი ლარით (ელექტრო-ენერგია 3.0 ათ.ლარი, ბუნებრივი აირი 4.0 ათასი ლარი), რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლში 4.9 ათასი ლარით და სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.38 ათ.ლარით.

(მომართვის N 37/2243, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 104/38 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

7. *2021 წლის 20 აპრილის N 80-38 მოხსენებითი ბარათი,* რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

(მომართვის N 37/2248, 19/04 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 109/38 20/04/2021წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის

საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 12

შედგება "6" ივნისი

ფურცლისაგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნუგზარ ჯამბურია

2021 წელი